პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წითელ-არმიელი

საქართველოს წითელი არმიის პოლიტსამმართველოს ორგანო.

№ 19 სამშაბათი, 27 დეკემბერი, 1921 წ. მისამართი: საპიორის ქუჩა № 30 სამშაბათი, 27 დეკემბერი, 1921 წ. № 19

მეტი ყურადღება!

მას შემდეგ რაც საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლება გამოცხადდა ჩვენმა სახელმწიფომ ყოველ დარგში დიდი გადახალისება განიცადა. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ძველი რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო მშრომელთა უმრავლესობასთან უხმოდ უნდა ჩაბარებოდა ისტორიის არქივს, მიუხედავად ჩვენ მოსისხლე მტრების ხვეწნა გოდებისა, მათი ჩურჩულ-ფუსფუსისა; მშრომელმა ხალხმა თვისი დაკორძიანებული ხელით გონიერ წინამძღოლთა მეთაურობით შესძლო ზემონათქვამი შესაფერისად სისრულეში მოეყვანა რადიკალურად შესცვალა ძველი და მის ადგილას ახალი ყველას მისაღები და სიხარულის მომგვრელი დააფუძნა. ეჭვის გარეშე იყო, რომ მშრომელ ხალხს თუ სურდა ამ გადამწყვეტ ნაბიჯის, სახელდობრ სოციალური რევოლიუციის ღირსეულად დაგვირგვინება, უნდა შეექმნა ცოცხალი რეალური ძალა, უკეთ რომ ვთქვათ შეეარაღებია თვისი მუშური უჯრედები. სხვაგან და სხვა პირობებში, მაგალითად რუსეთში შეიძლება ითქვას, უფრო მოსწრებულ დროს მოხდა. იქ მუშათა კლასი არიყო მოწამლული ხანგრძლივ კერენშჩინ მენშევიზმით. დროზე მოუღეს მათ ბოლო და ოდნავი რევოლიუციონური ცეცხლით, რის გაღვივებას ზემოხსენებულნი უჯიშო სოციალისტები ხელ უშლიდენ, მათი დასამარების შემდეგ უსაზღვრო რევოლიუციის გამო, გამომაფხიზლებელ ცეცხლში შესცურეს; ჩვენში კი სხვა გვარად მოხდა. აქ სამი წლის მენშევიკების და ათასგვარ ნაციონალისტურ ჯურის ხალხთა ბატონობის შემდეგ დაეპატრონა მშრომელი ხალხი კუთვნილ ძალა-უფლებას ცხადია შეჯახებას სამარისკენ მიმავალთ და ამოღორძინებულთ შორის ადგილი უნდა ჰქონოდა, მით უმეტეს ისეთ დროს, როდესაც ჩვენ გვიხდებოდა და გვიხდება საქართველოს ნორჩ წითელ ლაშქრის შექმნა. საქართველო პატარა საბჭოთა სახელმწიფოა, მას ცოტა მოეპოება ეკონომიური რესურსები/მაშასადამე დამოუკიდებელ ეკონომიურ ბრჭყალებში ცხოვრება მას როგორც სხვა პატარა სახელმწიფოებს კარგ არაფერს უქადდა საჭირო იყო ძმური კავშირი სხვა პატარა ერებთან, რათა როგორც ეკონომიურ ისე სამხედრო ფრონტებზე შეერთებული ძალებით ყოველთვის ურჩი ამა ქვეყნისა შესაფერისი პასუხი გავცეთ. ყოველივე ზემო ნათქვამი დღეს უკვე სინამდვილედ იქცევა. ამიერ კავკასიის ერები რჩებიან ეროვნულათ ყოველივე ზნე ადათის შეუხებლათ დამოუკიდებელნი მხოლოდ საერთო ფრონტებს, როგორიც არის ეკონომიური და სამხედრო, აერთიანებენ. სრულიად ამუს გარეცხილი უნდა იყოს პიროვნება, გნებავთ კლასი, რომ ასეთ კეთილ მეზობლურ შეკავშირებას, რომელსაც ამშვენებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ძმური ფედერაცია აღტყინებით არ შეეგებოს, ამის გარდა ამხანაგო წითელ ლაშქრელებო, გაზეთის ,,წითელ-არმიელის" დღევანდელ ფურცლებზე წაიკითხავთ საქართ. განცალკევებით ბრიგადის უფროსის ღირსშესანიშნავ მოწოდებას. სრული იმედი მაქვს არ შეშფოთდებით, დაფიქრებული ასწონ დასწონით და თქვენსავე თავში შესაფერის მჯავრს დასდებთ, რაშია საქმე? იკითხავთ თქვენ, რატომ მოხდა ეს. მე როგორც თქვენ წრეშივე აღზრდილი ნამდვილი, მუშის შვილი, იმედია დამიჯერებთ და მომისმენთ. პატარა საბჭოთა საქართ., ისეთ საზღაპრო ეკონომიურ ხელმოკლეობის დროს. რომელსაც ჩვენ განვიცდით, სრულებითაც არიყო საჭირო ის ბუმბერაზი შტატები და ურაცხელი სამხედრო ნაწილები, რომელიც ჩვენ გვქონდა. საჭირო იყო მრავალი სამხედრო ნაწილების შემოკლება და გაფანტულ ლაშქრელთა თავმოყრა ესეთი ნაბიჯის შემდეგ ვთავისუფლდებით ზედმეტ ხარჯებიდან რაც სახელმწიფოს დიდ შეღავათს აძლევს სამაგიეროდ ჯამის სამხედრო ძალის უცვლელ რჩება, უპირატესობა კი შედარებით ძველთან ან ახალს რჩება, რადგანაც იგი უფრო შეერთებული ჯანსაღი და იმედიანი არის—მაგრამ ჩვენ კარგათ გვესმის თუ როგორ განმარტებას მისცემენ ამას ჩვენი ჩუმი მტრები, რომელთაც ჯერ არ შეუწყვეტიათ ჩუმ-ჩუმ ქვეშ ძრომვა ასისინებენ ენას და მართალ მრუდათს მოგიჭორავებენ გეტყვიან, საქართველო აღარ არის მოისპო, აღარ გვყავს ქართული ჯარი" და ვინ იცის კიდევ რას მათდა საუბედუროდ, სავალალოდ უნდა ვსთქვათ რომ ძველი მენშევიკური საქართველო, არც ჯარი, დიახაც არარის. არის საქართველო ახალი, წითელი, საბჭოთა, ჰყავს არა თეთრგვარდიელებია რამედ თავდადებული წითელი დარაჯები, რომლებიც ვიწრო ნაციონალისტურს ყოველივეს ანადგურებენ შეუგნებლობის ბურუსს ფანტავენ და ერთა შორის სრულ სოლიდარობას ამყარებენ. აი ასეთი ცვლილებაა ჩვენს ნაწილებში. გვრჩება ყოველივე, ენა ქართული, ჯარი ცალკე ქართული მხოლოდ ერთი მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაციულათ ჩამოყალიბებული, რაც ყოველ გვარ მწარე ფიქრებს გვავიწყებს სიხარულ იწვევს ჩვენში მენშევიკების მიერ მოწამლულ სხეულის განკურნვა. ვზეიმობთ ვხიარულებთ და ყველას ვისაც კი ბედნიერი შემთხვევა აქვს საქართველოს წითელ ლაშქარში ყოფნისა, მოუწოდებთ ხელი შეუწყონ საქართველოს წითელი ჯარის მავნე ელემენტებისაგან განთავისუფლებას მის აღზრდა გამოწვრთნას ეს არის ყოველდღიური საზრუნავი, როგორც სახელმწიფოსი ისე ყოველი მუშაკის. მეტი ყურადღება ჯარს!

ნემოსელი.

ბრძანება ქართულ შეერთებულ ბრიგადის მიმართ

თანახმად სამხედრო შეთანხმებისა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებისა, რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკასთან ამა 1921 წლის 8 დეკემბრიდან— ამიერიდან ყველა ქართული ჯარები შეადგენენ ერთ შეერთებულ ბრიგადას.

ვღებულობ რა ცალკე ქართულ შეერთებულ ბრიგადის უფროსობას მე მოუწოდებ ყველა ამხანაგ წითელ არმიელებს, უფროსებს და კომისრებს ენერგიული და თავდადებული მუშაობით, მთელი მორალური და ფიზიკური ძალღონის შეკრებით ხელი შეუწყონ ჩვენი ჯარების სასწრაფოთ გარდაქმნას სამაგალითო და თავის ორგანიზაციით უძლეველ სამხედრო ძალათ.

ქართველი მენშევიკები, აზერბეიჯანელი მუსავატები და სომხეთის დაშნაკები, რომლებიც მუდამ მტრულ განწყობილებაში იყვნენ ურთიერთშორის, დღეს შეთანხმდნენ, შეადგინეს გაერთიანებული კავშირი და ევროპის მტაცებელ იმპერიალისტების დახმარებით აწყობენ შეიარაღებულ თავდასხმას ამიერ კავკასიის ჯერ ნორჩ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებზე.

მუშების და გლეხების მოღალატენი ფიქრობდენ მოულოდნელად დაგვსხმოდენ თავზე და ცალკ-ცალკე დაემარცხებიათ საქართველოს აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების დღემდე გათიშული სამხედრო ძალები.

მაგრამ ჩვენ, მუშურ-გლეხურ დიდი რევოლიუციის მხედრებმა, ოთხი წლის საშინელი სამოქალაქო ომის წარსულით გამოცდილებმა, დროზე გაუგეთ მათ მოღალატური და სისხლიანი განზრახვები.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე ამიერიდან აღარ იარსებებს ურთიერთ დამოუკიდებელი გათიშული ნაციონალური ჯარები; ამიერიდან საფუძველი ეყრება, უთვალავ ბრძოლებში გავაჟკაცებულ, რუსეთის მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქართან საერთო უფროსობით, ნებით და მოქმედებით გაერთიანებულ ქართულ წითელ ჯარს.

ამხანაგებო წითელ არმიელებო, მეუფროსენო და კომისრებო!

დღეიდან ჩვენ შევდივართ კომუნისტური ინტერნაციონალის უძლეველი წითელი ლაშქრის საერთო ოჯახში, ჩვენ შევდივართ დიდი საბჭოთა ფედერაციის რევოლიუციონურ მხედართა გაერთიანებულ და ბრძოლებში გაკაჟებულ რიგებში.

ჩვენი ეროვნული სახით, ჩვენი სამშობლო ენით, ჩვენი კულტურით ამიერიდან მჭიდროდ ხელი-ხელ ჩაჭიდებული ვივლით ჩვენ რუსეთის რევოლიუციონურ წითელ ლაშქართან ერთად შემდეგი გამარჯვებათა გზაზე, მშრომელთა ჩაგვრის და მონობის მძიმე ბორკილების საბოლოოთ დასამსხვრევათ.

მე, როგორც თქვენი უფროსი ამხანაგი, ველოდები თქვენგან დაუშრეტელი ენერგიას და ნაყოფიერ შემოქმედებითი მუშაობას.

ქართული შეერთებული ბრიგადა უნდა გახდეს ლაშქრის სამაგალითო ნაწილათ.

ვაი იმას, ვინც თვისი უმოქმედობით, დაუდევრობით და უდისციპლინობით სახელს გაუტეხს ჩვენს ერთათ-ერთ ქართულ ბრიგადას.

ყველა ამხანაგ უფროსების, კომისრების და რიგის წითელ არმიელებისაგან მე მოვითხოვ რკინისებრ დისციპლინას, წესრიგიანობას, შეგნებულად და უყოყმანოთ თავისი მოვალეობათა აღსრულებას.

მაშ, გაუმარჯოს გაერთიანებულ მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარს.

ეს ბრძანება წაკითხული იქნეს ყველა გუნდებში, ესკადრონებში და კომანდებში.

ქართულ ბრიგადის
უფროსი პ. ალნიაშვილი,
ბრიგადის შტაბის
უფროსი მუსხელიშვილი

მეტი ყურადღება უცოდინარობის მოსპობას ჯარში.

ოთხი წლის განმავლობაში მუშათა კლასი აწარმოებს სასტიკ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ და უნდა ითქვას, რომ მან ამ ფრონტზე გამარჯვება იგემა. დღეს საეჭვო არ არის, რომ მშრომელი ხალხი დარჩება თავის ბატონ-პატრონი არამც თუ საბჭოთა რესპუბლიკებში დარჩენილ ბურჟუაზიის ნაძირალები, არამედ იქ სადაც ამ ვაჟბატონებს უჭირავს ჯერ კიდევ ძალა-უფლება ხელში, ბატონობის შენარჩუნების ნიშან-წყალი არ შერჩენიათ და სასიკვდილო ფერი გადაკვრიათ, რუსეთის „გაუთლელმა" მუშათა კლასმა (ბურჟუაზიისა და მისი ლაქიების აზრით) არ გაგონილი ხასიათის სიმტკიცე გამო ჩინეს ამ ბრძოლის დროს და მთელი ქვეყნის მძარცველებს შიშის ზარი დასცეს თავს. მშრომელი ხალხის მტრებმა თუმცა დროებით შესწყვიტეს სამხედრო მოქმედება, მაგრამ სიკვდილის დროს ერთ წიხლს კიდევ გაიქნევენ. ამ წიხლს ისეთი საფარი უნდა მოუმზადოთ, რომ ბარძაყი მოიმტვრიონ და მუშათა კლასს კი ვერა რა ავნონ. ამისათვის საჭირო სამზადისია და უეჭველია ბარძაყს კი არა ცხვირსაც მოიმტვრევენ.

ამაზე შეჩერება და დიდი ფიქრი ჩვენ არ გვესაჭიროება. მუშათა კლასის მიზანი ბურჟუაზიის ცხვირ-პირის მტვრევასა და ძალა უფლების ხელში აღებაში კი არ გამოიხატება, მარტოდ, არამედ მისი საბოლოო მიზანი არის კომუნიზმის განხორციელება. ბურჟუაზიის დამარცხება არის ერთი საშუალება ამ მიზნის მიღწევისა. ჩვენ კიდევ მრავალ სხვა გვარ საშუალებებს უნდა მივმართოთ რომ კომუნიზმის დამყარება შევძლოთ. ის თხოულობს კაცობრიობის უმწვერვალეს საფეხურამდის განვითარებას.

უცოდინარობა საშინელი მტერია კომუნიზმისა. ამიტომ საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია მთავარ ყურადღებას აქეთკენ აპყრობს და მის ლიკვიდაციის საკითხთა პირველ რიგში აყენებს, იხარჯება უანგარიშო თანხა ამ საქმის მოსაგვარებლად. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენი მცხოვრებთა უმრავლესობა გლეხობისაგან შესდგება, რომელთა შორის ძნელი გასატარებელია წერა-კითხვის მოსპობა, არა იმიტომ, რომ თითქოს იმათ უნარი არ შესწევდეთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენში გლეხობა მოკლებულია საერთო სამეურნეო იარაღებს და ამიტომ მთელი დღე-ღამის განმავლობაში უხდებათ შრომა, რომ თავი და ცოლ-შვილი გამოკვებონ სწავლისათვის დრო აღარ დარჩენიათ რა დიდი სურვილიც უნდა ჰქონდეთ.

ასეთ პირობებში, ჩვენ იქით უნდა მივამართოთ, სადაც საქმე უფრო ადვილი მოსაგვარებელია.

რევოლიუციის სადარაჯოზე მდგომ ჯარის კაცს. შეუძლია დაიცვას თავისი საგუშაგო და შეიძინოს ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელი საჭირო ცოდნა.

ამ მიზნის განხორციელებისათვის ჯარის ყოველ ნაწილებში ინიშნება მასწავლებლები, რომელნიც ისე არიან დაკმაყოფილებულნი, როგორც თვითეული ჯარის კაცი.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მასწავლებლები თავიანთ დანიშნულებას წესიერათ ვერ ასრულებენ.

მათ ვერ მოუხერხებიათ ჯარის კაცებთან დაახლოვება სწავლისადმი. ასეთი მდგომარეობა ზოგიერთ შემთხვევაში უნდა მივაწეროთ იმ გარემოებას, რომ თვით მასწავლებელი არ არის საქმეში დაინტერესებული და ზოგიერთიც იმდენათ გამოცდილი არ არის, რომ მისწვდეს სულიერ გაწვრთნას მშრომელ ახალგაზრდობისას და ისე მოუდგეს მეცადინეობას, როგორც იმათი სულიერი განწყობილება მოითხოვს.

რა თქმა უნდა ჯარის კაცი, რომელიც 20—22 წლის არის და წერა კითხვა არ იცის. მას პირველად არ აინტერესებს „ანა ბანის" შესწავლა, ვინაიდან ასაკი, როდესაც ამით დაინტერესებულია ადამიანი, მას უკვე გავლილი აქვს.

რომ ეს ასე არ მოხდეს და საქმემ წინ წაიწიოს, საჭიროა ყველა მასწავლებლებმა იცოდეს, რომ აუცილებელია პირველად კითხვა რეფერატების სხვა საინტერესო თემებზე, რომელიც ვრცნებას გაუხსნის ადამიანს და მეტის ცოდნის შეძენის სურვილს გამოიწვევს მათში. მეტი ცოდნა კი წერა-კითხვის საშუალებით შეიძინების და ისინიც ამ საქმეს ერთგულად მოეკიდებიან ხელს და თუ დღეს სასწავლებელში

შესვლა ცხარება, ამ მოვლენას ადგილი არ ექნება. ამიტომ საჭირო მეტი ყურადღება. მეტი ენერგია მასწავლებლების მხრივ, უნდა გააორმაგონ მეცადინეობა დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ჯარის კაცებიდან საუკეთესო ინჟინერები, ექიმები, წითელი გენერლები და სხვა ათას გვარი ხელობის კაცები გამოვლენ.

ხატანგი.

რესპუბლიკის საერთო სამხედრო კოოპერატივი.

(რწმუნებულთა პირველი დამფუძნებელი ყრილობა.)

> „Пролетариату теперь нельзя допускать роскоши некоординированных действий“.
>
> **Мещеряков.**

„წითელ არმიელის“ პირველ წერილში (№ 16) კოოპერატივის დამფუძნებელთა საზეიმო სხდომას რომ ვეხებოდით, ჩვენ სამწუხაროდ გამოგვრჩა ერთი რამ, სახელდობრ რომ ყრილობის თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქმნა ამხ. ჯომარჯიძე, რომელიც 2, 3 და 4 დეკემბერს თავმჯდომარეობდა და რომელსაც სხდომების მწყობრსა და საქმიან მიმდინარეობაში დიდი წილი უდევს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პირველ საზეიმო სხდომამ მისალმების დეპეშით მიმართა: საქართველოს რევკომს, სამხედრო საზღვაო კომისარს, რომელსაც კოოპერატივის ინიციატორებისათვის სიტყვითა და საქმით მრავალჯერ უშველია, შემდეგ—Еркоп-ს; ვითარცა თვისსა მოძმეს და ბოლოს აღმოსავლეთ-კურსანტების კოოპერატივს.

როგორც სამანდატო კომისიამ გამოარკვია და დროებითი გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ნაცვალოვმა განმარტა რწმუნებულთა პირველმა ყრილობამ, ტეხნიკური დაბრკოლებების წყალობით, რესპუბლიკის ჯარი სრულად არ წარმოადგინა. ბევრმა ნაწილმა თავის წარმომადგენელი ვერ გამოგზავნა. თავისთავად ცხადია, რომ საქმის დასაწყისისას ეს სრულებით ბუნებრივია და უარყოფით მხარედ ვერ ჩაითვლება. მით უფრო, რომ თვით წესდება პირველსავე წელიწადს ჯარის სრულს წარმომადგენლობა—მონაწილეობას განახორციელებს. აქ აღსანიშნავია თვით საქმე—არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა—სახელმწიფოს მთელი ჯარის ერთიანი კოოპერატივის შექმნა და რომ იგი ჩვენს რესპუბლიკაში უკვე ფაქტია!

სამანდატო კომისიამ 37 რწმუნების საბუთი დაადასტურა. ყრილობამ თავი კანონიერად იცნო და მიიღო დროებითი გამგეობის მიერ წარმოდგენილი ასეთი დღისწესრიგი:

1. ამხ. ზიბაევის მოხსენება ახალ ეკონ. პოლიტიკისა და კოოპერაციულ აღმშენებლობის შესახებ რომელიც ჩვენ გასულ წერილში მოვიხსენიეთ;
2. დროებითი გამგეობის მოხსენება;
3. სქემა და გეგმა სამხ. კოოპერატივის მოქმედებისა—ბელოკრინიცკის და სატაბაზოვის მოხსენება;
4. კავკასიის სამხედრო კოოპერატივების კავშირის ორგანიზაციის დებულებანი;
5. ლომინაძის მოხსენება შენობის შესახებ;
6. ინფორმაცია პროვინციიდან;
7. წესდების განხილვა და დამტკიცება (მომხსენებელი დრ. გამგეობის თავმჯდომარე ვ. ნაცვალოვი);
8. არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

კოოპერაცია პოლიტიკური თვალსაზრისით.

შეგნებულ პროლეტარიატს არ ეპატიება კოოპერატივისადმი ალმაცერად მოპყრობა, მისი უყურადღებოდ დატოვება მეტადრე ისეთს დროს, როდესაც ის უაღრესად გამწვავებულ კლასიურ ბრძოლას აწარმოებს. კოოპერაცია არის ერთ-ერთი იარაღი ბურჟუაზიასთან საბრძოლველად. „როგორც ომის დროს ცალკე რაზმები შეიყრებიან ხოლმე, ისე აქ ყველა ორგანიზაციები საჭიროა ერთმანეთს ეხმარებოდნენო“, ამბობს ცნობილი რუსი კოოპერატორი მეშჩერიაკოვი.*) რ. კ. პარტიის მე 8 და მე 9 ყრილობებიც ხომ პირდაპირ ადასტურებენ: კოოპერაცია პროლეტარიატმა უნდა დაიქვემდებაროს და თავისი კლასიური მიზნებისათვის გამოიყენოსო.

ამიტომ ჩვენი აზრით კოოპერაციაზე გაცილებით მეტი უნდა იწერებოდეს, ითხებოდეს, კეთდებოდეს, ვიდრე ამას საქართველოში დღემდე ჰქონდა ადგილი. ვნახოთ რამდენად მკაფიოდ გამოისახა ეს მხარე ყრილობაზე.

ჯარის მონაწილეობა წარმოებაში

საჭიროა ამ საკითხის პრაქტიკული დაყენების ისტორია გავიხსენოთ. ეს საჭიროა განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ასე ვთქვათ პრინციპიალურ-პარტიული თვალსაზრისით აინტერესებს საკითხი ჩვენი სამხედრო კოოპერატივის არსებობა-განვითარებისა და აგრეთვე ის გეგმაც, რომელიც დასახული აქვთ კოოპერატივის აწ უკვე არჩეულ ხელმძღვანელთ

ჯერ ე. წ. „სამხედრო კომუნიზმის“ ხანაში იყო, რომ სამეურნეო და საწარმოვო ფრონტზე ჯარის გამოყენება დაიწყეს და „შრომის არმია“ მოქმედობდა ყველგან ქარხნებში თუ სოფლად—სადაც კი უფრო იყო მდგომარეობა გამწვავებული. შემდეგში კომ. პარტიის სრულიად რუსეთის მე 9 ყრილობაზე ტროცკიმ პირდაპირ დასვა საკითხი „ჯარის ინდუსტრიალიზაციისა“ და ყრილობამ მიიღო**) მისივე რეზოლიუცია—ე/ი უნდა სხვათა შორის შემდეგში გამოისახებოდესო: ისეთ არმიებში, რომელნიც სამხედრო მიზნებისათვის აღარ იქნებიან საჭირო, უნდა მოხდეს შემცირება და გამოყოფა საუკეთესო ჯარის კაცების—კვალიფიციური მუშების, სასწრაფო სამუშაო რაზმების (ударно-трудовые отряды) შესადგენად და უმნიშვნელოვანეს საწარმოვო დაწესებულებებზე გასაგზავნადო.“

აქ იბადება საკითხი: თუ ჯარი იგზავნება სხვა და სხვა მეურნეობის დარგში საწარმოვო, ნატურალურ, საქონლის ღირებულებათა შესაქმნელად, გასამრავლებლად, რატომ არ შეუძლია ამავე ჯარს ეს ღირებულებანი თავისათვის შექმნას, თავისავე საკუთარი სამხედრო-სამეურნეო საჭიროებათა დასაფარავად, უზრუნველ საყოფად?

ამ კითხვაზე დროებითი გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ნაცვალოვი აძლევს ყრილობას მშვენიერ პასუხს.

ჯარი ბუმბერაზი სამეურნეო ძალაა

(ამხ. ნაცვალოვის მოხსენება.)

„მშვიდობიან ცხოვრების პირობებშიაც ჯარის შენახვის აუცილებლობის გამო ფაქტად ხდება, რომ მისი (ჯარის) წევრები სცილდებიან თავიანთ ჩვეულებრივ მოქმედებას და ცხოვრების ნორმალურ პირობებს, ხოლო მათი ძალები დიდათ თუ მცირედ თავს იხრიან, გროვდებიან ამ ჯარის სხვა და სხვა ნაწილებში.

ჯარის ეს უზარმაზარი პოტენციალური ენერგია დღემდის სრულებით გამოუყენებელი რჩებოდა. კოოპერაციის აღმშენებლობის დარგში ასეთი ბუმბერაზი ხელების გამოყენება, ეს—სწორედ ხალხისა საქმეა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გატარების ჟამს ჯარი არ დარჩება და არც უნდა დარჩეს პასიურ მაყურებლად და სახელმწიფოს ეკონომიურ აღორძინების საქმეში მონაწილეობა არ მიიღოს. ამ პოლიტიკასთან დაკავშირებულ კოოპერაციის მიზნების განხორციელების დარგში ჯარს—მისი ორგანიზაციული დისციპლინით, უშველებელ გამოუყენებელ ძალით და მატერიალურ საშუალებათა გამოყენებით—ეჭვს გარეშე ბრწყინვალე მომავალი [illegible].“

ლუმპენ.

---

*) იხ. მისი კრებული-„კოოპერაცია და სოციალიზმი“ მოსკოვი. 1920. გვ. 43.

**) 9ый С'езд. Р. К. П.“ გვ. 53 და 57 Изд. Бак. К. Р. К. П.

დეზერტირი.

ის დაიბადა უხსოვარ დროს და მოინათლა ბაქოს მაზუთში, იმ დროს, როცა რევოლიუციის ქარიშხალმა გრგვინვა დაიწყო; როცა იმპერიალისტურ ომს—ომი გამოეცხადა. ისარგებლა, რა შემთხვევით—თავის თავი გამოიჩინა და სახელიც დაირქვა: „დეზერტირი“. თუმცა იგი აწ გარდაცვალებულ „ნიკოლოზის“ დროსაც არსებობდა, მაგრამ მისი სახელი ისე არ იყო განთქმული. როგორც შემდეგ. დღიდან თვის დაბადებისა—მან ქვეყანათ არაფერი არ იწამა; არც ბრძოლა, არც იდეა. მის ერთად-ერთ საგანს შეადგენს: სახაზინო ქონების გაყიდვა. ყაზარმაში იტრიალებს იქნამდი, სანამ არ გამოეწყობა ტანსაცმელში—როცაკი შეიმოსება თავიდან-ფეხებამდე, მაშინ მშვიდობით. თვალს ველარ მოჰკრავ. ისე გაშორდება იქაურობას! როგორც წარსული წლის თოვლი. მიღებულ ტანსაცმელს ბაზარში გაჰყიდის (არ ფიქრობს თუ ვის ეკუთვნის ის) და თვითონ ივლის ისევ-ისე ძველებურად, ივლის იქნამდე სანამ არ მოეხასიათება, უკან ყაზარმაში დაბრუნება ახლის მისაღებათ.

მაგრამ დახე უბედურებას, დროება გამოიცვალა, მის თარეშს ბოლო მოეღო, ყველა მას სდევნის და იძულებულია ნაცნობს ალაგს დაუბრუნდეს—პატიება ითხოვოს. დაბრუნებულს ყველა გაურბის, გვერდს არავინ ეკარება—ისე უყურებენ თითქოს „ხორველის ანგელოზი“ მოგვევლინაო.

ერთი ასეთიც ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენს ლეგიონს ეწვია; დაფლეთილი დაღვრემილი ადამიანი—ისე ელმიჰქებოდა თითქოს მუცელი სტკივაო. ცალ-ფეხზე დაგლეჯილი ბატინკა მეორეზე კი ქალამანი ეცვა, შარვალი რამდენიმე გამოგლეჯილი ალბათ ძაღლები მისწდომიყვნენ, ზურგზე ტალახში მოსვრილი ინგლისური ჩანთა და მათარა ეკიდა. როცა მიუახლოვდა ლეგიონის ეზოში შესასვლელად, იქვე დარაჯათ მდგარ წითელ-არმიელმა შეუტია: „სად მიიწევ, მანდ ტიფი არ

პატარა ფელეტონი.

რედაქციაში.

გრძელი, მაგრამ სინათლიანი ოთახი. კედლებზე ძველი რუსეთის სულთამხუთავები: ლენინი და ტროცკი. ოთახში ორი დანჯღრეული სკამი და ჟურნალ-გაზეთებით მოფენილი მაგიდა.

ეს არის „წითელ-არმიელის“ რედაქცია.

დილის ათი საათი იქნება. სარედაქციო ოთახში, მაგიდაზე იდაყვ დაყრდნობილი ზის გაზეთის რედაქტორი.

ქუჩაზე მზე იცინის. ოთახში სითბო და მყუდროება, მაგრამ რედაქტორი მაინც მწუხარებას შეუპყრია.

მიზეზი უნდა იყოს მის წინ გაშლილი რამდენიმე ხელ-ნაწერი. წერილები ყველა პუბლიცისტური ხასიათისაა, ქართულად დაწერილი, მაგრამ ისეთი უცხო სიტყვებით არი დამძიმებული, რომ მის გასაგებათ უცილებლად საჭიროა იოსებ იმედაშვილის ლექსიკონი. რედაქტორი დარწმუნებულია, რომ ასეთ წერილებს ჯარის კაცი ვერც გაიგებს და არც წაიკითხავს.

მაინც ვის უნახავს ამდენი „იზმი“ და ამდენი „ზაცია“.

აი მაგალითად:

რედაქტორმა აიღო ერთი ღლონტისებური გრძელი წერილი და ხმა-მაღლა წაიკითხა:

„პოლიტიკურ სიტუაციის გენეზისი ჩვენ იმ კონკრეტიულ კონცეპციამდე მიგვიყვანს, რომ“...

ოხ, ღმერთო ჩემო! ნუ თუ არ შეუძლიათ აზრის მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმა! ფიქრობს რედაქტორი. ეს ალბათ ერთგვარი ავადმყოფობაა: „მანია პუბლიციოზა“.

ნეტავ ისეთი რეცეპტი მაინც იყოს, რომ ამ სნეულებისაგან განკურნავდეს.

რედაქტორი აიღებს საწერ-კალამს და დაიწყებს:

„თანამშრომელთა საყურადღებოდ“:

„ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არა ერთხელ დაწერილა, რომ ყოველი აზრი მკაფიოდ და ადვილად გასაგებ ენით უნდა გამოითქვას, რომ გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის. გაზეთის თანამშრომელს წერის დროს არ უნდა ავიწყდებოდეს საკუთარი მკითხველი; წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ქაღალდი, ისე მელანი უნაყოფოდ იხარჯება“...

ამის შემდეგ რედაქტორმა აიღო „იზმებით“ და „ზაციებით“ სავსე სტატია და კალათში გადაისროლა.

ასევე ჯალათურად მოეპყრო მეორე წერილსაც, რომელშიდაც იყო:

25 „სიტუაცია“,
11 „ემანსიპაცია“,
7 „პაუპერიზმი“,
120 „კაპიტალიზმი“,
და 66 „სტრუქტურა“.

ამ დროს რედაქციის კარები გაიღება და ტუჩზე ღიმილით შემოდის ვიღაც უცნობი ახალგაზრდა.

— შეიძლება?

— მობრძანდით.

— მე ლექსი მოგიტანეთ. წუხელის დავწერე ღამის 12 საათზე. ყველას მოსწონს და იმედია დამიბეჭდავთ. მით უმეტეს, რომ პროლეტარული პოეტი ვარ. კერძო საკუთრებას, აგრეთვე ყოველ საკუთრებას, მოკლებული ვარ. კი მართალია, მამაჩემს ერთ დროს ჰქონდა...

— უკაცრავად! ბიოგრაფია შემდეგისთვის იყოს. მაჩვენეთ ეგ ლექსი.

— მოითმინეთ! მე თვითონ წავიკითხავ.

ახალგაზრდა პოეტი გაშლის ხელებს, შეარხევს ტანს და დაიწყებს სიმღერის კილოზე:

ძმებო! მითხარით გულწრფელად
რა არი ცალკე ნაცია!..
გვაკლია ნავთი, ქიშმიში,
გამოგველია გნაცია!
გაზაფხულს მოაქვს ზაფხული
და შემოდგომას ზამთარი.
ვისაც სურს განკერძოება
იმას დაებნეს დავთარი!
მაშ, ძმებო, ერთად იყავით
ბავში, ქალი და კაცია.
ამიერიდან გვიშველის
ჩვენ მხოლოდ ფედერაცია.

— როგორ მოგწონთ, ბატონო რედაქტორო?

— ბატონი თვითონ ბრძანდებით. ჩვენ, რასაკვირველია, ფედერაციის მომხრე ვართ, მაგრამ თქვენ „ფედერაციას“ მაინც ვერ მივიღებთ!

— მაშ მე ნიჭი არ მქონია! გარწმუნებთ რომ..

— უკაცრავად! მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ დიდი ნიჭის პატრონი ხართ, მაგრამ თანახმად ახალი გამორკვევისა ამას უწოდებენ უნიჭობის ნიჭს, თქვენი ლექსი ნიჭიერ უნიჭობის შედევრია, მაგრამ მაინც გირჩევთ ერიდოთ პოეტობას. სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ ამ მოკლე ხანში გამოდის ახალი დეკრეტი, რომლის ძალითაც ყველა უნიჭო პოეტი უნდა გაიგზავნოს ჭიათურაში მადნის სათხრელად.

ამ სიტყვებით შეშინებული ახალგაზრდა ოთახიდან ისე ჩუმად გაიპარა, რომ რედაქტორმა ვერც კი შენიშნა.

სამაგიეროდ შემოდის მეორე უცნობი.

— რისთვის გარჯილხართ?

ეკითხება მას რედაქტორი.

— მე უადგილო ინტელიგენტი ვარ. წერა ძლიერ მეხერხება. ჩემთვის ყველა თემა ერთია რასაც მოისურვებთ, ან დამიკვეთთ. უპარტიო ვარ, მაგრამ შემიძლია ისეთი წერილი შევთხზა, რომ კომუნისტმაც ხელი მოაწეროს. ადამიანის სული უსაზღვროა დიახ! და მე დღეს ისეთ რამეს ვიტყვი, რაც გუშინ არ მწამდა.

— საინტერესოა!

იტყვის რედაქტორი და ცნობის მოყვარეობით ჩაუკვირდება შორიახლო მდგომ მოსაუბრეს.

უცნობი ფერმკრთალია, ეტყობა ცუდათ საზრდოობს. ტანისამოსი გაცვეთილი აქვს.

— გულ ახდილად უნდა გითხრათ, ამხანაგო რედაქტორო, რომ მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს, ეს არის ფეხსაცმელი, ტანისამოსი და სადილი, რამდენი გირვანქა პური ეძლევა მუდმივ თანამშრომელს?

— პურის და ტანისამოსის მიცემა მოვსპეთ!

ეს სიტყვები ლახვარივით მოხვდა რედაქციის უცნაურ სტუმარს და მანაც დასტოვა ოთახი.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარები ისევ გაიღება.

რედაქტორი განცვიფრებულია. მას მოჩვენება ჰგონია და გაოცებით თვალებს მიაპყრობს.

მის წინაშე დგას თოვლივით თეთრ წვერა მოხუცი, დეკანოზი უნდა იყოს. ტანზე ანაფორა ეცვა

— აქა მშვიდობა!

— იცოცხლეთ, მამაო! რა ამბავია? რამ მოგიყვანათ?

— ჩემმა გაჭირვებამ, შვილო და თქვენდამი სიყვარულმა. არ იფიქროთ მღვდელი რომ ვარ, ვითომ თქვენი წინააღმდეგი ვიყო. თუ დამიჯერებთ, მამა შვილობამ მე კომუნისტი ვარ განა ქრისტე, განა მისი მოციქულები ნამდვილი კომუნისტები არ იყვნენ.

მეც მინდა გემსახუროთ რითაც შემიძლია. ყოფილი მისიონერი ვარ. კალამიც მიჭრის. მინდა რამოდენიმე წერილი მოვათავსო თქვენს პატივცემულ გაზეთში. წერილებში იმ აზრს გავატარებ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია კომუნისტების წინააღმდეგი სრულებითაც არ არის მეთქი. ამას დავამტკიცებ ტექსტებით ბიბლიიდან, სახარებიდან, სამოციქულო წიგნებიდან და დაუჯდომლიდან. მხოლოდ ჩემი გვარი კი საიდუმლოდ უნდა დარჩეს. არ მინდა მაინც და მაინც კათალიკოზს ვაწყენინო. წერილები იქნება მღვდლის პსევდონიმით ხელმოწერილი. მხოლოდ ერთი ეს მითხარით მამაშვილობამ, სადილს და პურს რამდენს იძლევით თანამშრომლებისთვის? წვრილ-შვილის პატრონი ვარ.

აქ კი რედაქტორს უღალატა მოთმინებამ. იგი ზეზე წამოიჭრა, [illegible]ლო თმებში ხელი და ბლაღ[illegible] ხმით დაიგრიალა.

კათაკმეველნო, განვედით!
კათაკმეველნო, განვედით!
რაოდენი კათაკმეველნი ხართ განვედით!

გულ-გახეთქილი დეკანოზი ანაფორის ფრიალით გარბის ოთახიდან.

ფუქარა,

შეიტანო" და ხელის კვრით მოიშორა. ეს რომ მეორე წითელ-არმიელმა შეამჩნია ამხანაგს უსაყვედურა; „რად ჰკრამ ხელს, სიტყვით ვერ გაისტუმრე". რაკი უბედურმა ადამიანმა დაინახა, რომ მას ქომაგი გამოუჩნდა, მორთო წმუკუნი:

მაპატიეთ, შევცდი--შემაცდინეს, ერთ დროს მეც ისე მოწყობილი ვიყავ და დარაჯათ უდექ წმინდა მოვალეობას, როგორც თქვენ".

მაგრამ ის შეაცდინეს ათასგვარ ცრუ ხმებმა შეთხზულებმა მენშევიკების-მიერ. როცა ერთ დღეს საიქიოს მოციქულ „წმინდა მამისაგან" გაიგო, რომ „ჟორდანია ბათუმში მოსულა ინგლისის ჯარებით". მან ყური ათხოვა ამას და აზრად მოუვიდა ერთხელ კიდევ ესარგებლა შემთხვევით: იმ აზრით, რომ მეორე დღეს გადატრიალება მოხდებოდა და სახაზინო ქონება შერჩებოდა.

გავიდა რამოდენიმე ხანი - არც ჟორდანია, არც ინგლისის ჯარი არსად სჩანან- მხოლოდ „სულიერი მამა", რომელიც ასე მედგრად ავრცელებდა ცრუ ხმებს ჩვენს თავმჯდომარემ თვის კაბინეთში მიპატიჟა; რათა საიქიოს წაეწყმინდა საიქიოს ცხონებისათვის

იმედ გაცრუებული ჩვენი დეზერტირი. დაუბრუნდა ძველს ნაცნობს ალაგს—ამხანაგებმა ის არაჩვეულებრივს წაგვანეს და თავიდან იშორებდენ. რა ჰქნას საწყალმა; თავი კედელს ახალოს—ეშინია კაპი არ დააჯდეს, მტკვარში გადავარდეს ვაი თუ გაცივდეს... და სწყევლის იმ დროს, როცა მან ჭორებს ყური ათხოვა და სული ტარტაროზებს ჩააბარა.

ბევრი ხვეწნა მუდარის შემდეგ დეზერტარი შეუშვეს ლეგიონში შეიყვანეს ერთს ოთახში და ნარზე ჩამოსვეს—როცა თავი თავისუფლად იგრძნო, დასვენებული მიეცა ათასგვარ ფიქრებს და ჩაეძინა—ძილშიაც არ ისვენებს ოხრავს კრუსუნებს; ალბად სიზმარშია...

სანიტარულ-სადეზენფექციო კომისია—რომელიც მთავარი მტერია „დეზერტირების", თვის ვედრით და ნასოსით; ესტუმრა ახლად მოსულს. მისვლისთანავე, რომ ძილში მყოფს ვერ გაადვიძებ მიუშვერს ნასოსს და მედგრად შეუტევს. წამოხტა ჩვენი „დეზერტირი" იხვეწება შემდეგში აღარ ვიზამ—მაპატიეთ, მაგრამ ბაცილებთან მებრძოლი კომისია თავისას განაგრძობს; ალბად იგი ბაცილად მიიღო—თავიდან ფეხებამდე დეზენფექციაში გაატარა.

⁂

დღეს ყაზარმაშია. თავის მოვალეობა შეიგნო და სწყევლის იმ დროს, როცა თავის ამხანაგებს ჩამოშორდა — მოღალატის სახელი დაიმსახურა,

პასუხისმგებელი საქმე მას კომენდანტმა დაავალა, მისცა ცოცხი—რათა არც-ერთი კუთხე ლეგიონის უსუფთაოდ არ დასტოვოს ისიც პირნათლად ასრულებს მოვალეობას.

ამას წინად მან ყური მოჰკრა, დეზერტირების მიერ გატაცებული ქონება ანაზღაურებული იქნება, იმათივე მშობლების ქონებიდან. ამის გაგონებაზე სახლში ბარათს გზავნის მოითხოვს მშობლებიდან, რომ უშოვნონ ტანსაცმელი - გამოუგზავნონ, თორემ შემდეგ გვიან იქნება. მას ღრმათ სწამს რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება სახაზინო ქონების გაფუჭებას არავის არ მიუტოვებს და ისიც იძულებულია გადაიხადოს და ამით თავიდან აიცდინოს სადეზენფექციო კომისიის და კომენდანტის რისხვა

კიდევ კარგი რომ წერა-კითხვა იცის—თორემ ნახავდით მის ტანჯვას.

კმაყოფილია ბედის რომ ადვილად გადარჩა.

საშა ბ—ძე.

დეპეშები

საფრანგეთის მილიტარიზმი.

ფრანგ რესპუბლიკანელ დემოკრატების და სოციალისტების პარტიულ ყრილობაზე ნიულანსმა განაცხადა: „ჩვენი მოკავშირენი უნდა იყვნენ სამართლიანნი ჩვენს მიმართ და ჩვენი მოთხოვნილებანი დაიცვან. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთს დარჩება მხოლოდ ერთი: წავიდეს თითონ პირდაპირ ბერლინში და იქ წარადგინოს თამასუქები",

ყრილობამ დაადგინა სთხოვოს ბრიანს, რომ ის არ წავიდეს მეტ დათმობაზე გერმანიასთან და დაიცვას საფრანგეთის არსებითი ინტერესები.

გადატრიალება ალბანეთში.

მანოვერი.- 17. დეკემბერი (რადიო) ალბანეთში მოხდა ახალი გადატრიალება, რომელსაც ახლდენ სისხლის მღვრელი შეტაკებანი.

უდიდებულესობის შეურაცყოფა.

ვარშავა. 15 დეკემბერი (რადიო) სეიმში შემოსავლის კვალობაზე გადასახადის გაწერის პროექტზე მსჯელობის დროს, გამოსული დეპუტატები მკაცრად შეეხენ პილსუდსკის და დასცინეს, რომ ის ცდილობს გახდეს გვირგვინოსანთა სწორი.

სოციალ-გამცემლები აღშფოთებულნი არიან სახელმწიფოს მეთაურის შეურაცყოფით.

რუსეთი და ჩინეთი.

ჩიტა, 14 დეკემბერი (რადიო) ჩინეთის წარმომადგენელმა ვაშინგტონის კონფერენციაზე განაცხადა, რომ სანამ ჩინეთი სუსტია, არ არის იმედი სამართლიანობის განხორციელებისა. ჩინეთის გასაძლიერებლათ კი საჭიროა ჩინეთის არმიის რეორგანიზაცია და მეზობელ ჩრდილო საბჭოთა რუსეთთან დაახლოება. მხოლოდ ამას შეუძლია ჩინეთის მდგომარეობის შემსუბუქება.

პასუხი ვაშინგტონის კონფერენციაზე.

ჩიტა, 14 დეკემბერი (რადიო) მცხოვრებნი აღშფოთებულნი არიან ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებით, რომელიც არ სცნობს ჩინეთის სუვერენულ უფლებებს. შანხაიში მოხდა საპროტესტო დემონსტრაციები მრავალ ათას კაცისაგან შემდგარ ბრბოსი. ნაწილი დემონსტრანტებისა მოუწოდებდნენ ხალხს კაპიტალისტურ წესწყობილების დასამხობად. ჩინეთში დაიწყო ინგლისურ ნაწარმოებთა ბოიკოტი.

გაფიცვის მუქარა.

მოსკოვი, 22 დეკემბერი (რადიო) ტელეგრაფის მოხელენი ბერლინში იმუქრებიან დაუყოვნებლივი გაფიცვით თუ მთავრობა უარს იტყვის მოსამსახურეთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაზე და არ დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებათ.

საბჭოთა მთავრობის ცნობის შესახებ.

ბორდო, 21 დეკემბერი (რადიო) ლოიდ-ჯორჯი ლონდონის თათბირზე წარდგენილ გეგმაში ეხება საკითხს საბჭოთა მთავრობის ცნობის შესახებ. ლოიდ-ჯორჯი ფიქრობს, რომ თუ მართლა რუსეთი აპირებს ომამდე ყოფილ ვალების გასტუმრებას და მიიღებს თავის თავზე ყველა იმ ვალდებულებათ, რომლებიც საერთაშორისო ნორმების ასრულებიდან გამომდინარეობს, მაშინ ბრიტანეთის მთავრობას არაფერი ექნება საწინააღმდეგო საბჭოთა მთავრობის ცნობისა. ფრანგული პრესა ხედავს ამაში ლოიდ-ჯორჯის სურვილებს აღმოსავლეთში და დასავლეთში ნამდვილი მშვიდობიანობის განხორციელებისას. ამ მიზნის მისაღწევათ ლოიდ-ჯორჯს საჭიროთ მიაჩნია ინგლის-საფრანგეთის კავშირი.

ამბები შორეულ აღმოსავლეთში ვისთან ვიბრძვით ჩვენ.

მოსკოვი, 22 დეკემბერი (რადიო) მერკულოვის ეროვნული რუსული არმია არის რუსული მხოლოთ სახელით. ის შესდგება იაპონიის მსახურობის ჯარის კაცთაგან. არც ერთი სემიონოველი ან კაპელეველი ოფიცერი ან ჯარის კაცი არც ერთ ნაბიჯს წინ არ სდგამს იაპონელთა ნება დაურთველათ. ბრძანებანი და განკარგულებანი გამოდიან იაპონიის შტაბის ნებართვით. ყოველ ეშელონს აქვს ნებართვა იაპონიის სარდლობისაგან. მთელი იარაღი აღრიცხულია იაპონელთა მიერ. ყველა საქონელი დამოჟნებში შენახული, იყიდება იაპონელთა სურვილით.

გამოჩენილი დეპუტატები მემარჯვენე ფრთისა მერკულოვის ადმინისტრაციისა, პოლიცია და კონტრ მზვერავები იმყოფებიან იაპონიის

სამსახურში.

„დამპყრობელნი".

მოსკოვი, 22 დეკემბერი (რადიო) ჩიტადან იტყობინებიან: ვლადივოსტოკში მოხდა ერთი ინციდენტი მერკულოვსა და ბოჩკარიოვის, კამჩატკის „დამპყრობელის", შორის. ბოჩკარიოვმა მიიღო მერკუროვისაგან სურსათი კამჩატკის ნედლ მასალაზე გადასაცვლელათ, მან არაფერი არ მისცა მერკულოვს და გაიპარა შანხაიში. მერკულოვზე ღირებულების მიცემის უარს ბოჩკარიოვი მით ასაბუთებს, რომ მერკულოვი სახალხო ქონების გამფლანგველია.

ცეცხლის ხმები

ლექსი მეხუთე.

მალე მოკვდება შავი ფიქრები...
ნარ-ეკლით სავსეს გავკაფავთ ბილიკს;
და აღტაცებით შევუერთდებით
რევოლუციის ქარიშხლის კივილს..,

დავიწყებთ სრბოლას ცეცხლის არეში.:.
სულს გადავაქცევთ: რკინათ, ფოლადათ;..
რომ ცეცხლის ხმების სიმხურვალეში
ცეცხლის გმირების გავხდეთ ბელადათ .

დღეს სამრეკლოზე რეკავენ ზარებს...
მაგრამ ჩვენ მაშინ დავრეკავთ ისე,
რომ ყველა მუშას კიდევ მძინარეს
გულში ბრძოლის ცეცხლს უნთებდეს მყისვე.

შედრკება ვიცი მაშინ კოსმოსი
და ცეცხლის რკალში დადნება სულ მთლად...
და გაჰქრება ყველდგან კოცონი
მუქარა ხორათა შეწყდება სულთქმა... —

—ამას ვამბობდი ჯერ კიდევ გუშინ,
როს საცხოვრებლათ მქონდა საკანი...
იტანჯებოდა გრძნობები გულში..
დედის წუხილის ვიყავ საგანი...

და მე ველოდი წითელ ქარიშხლს;
წითლად მოქარგულს, წითელ ფრთებიანს..
და ჰა, ასრულდა... განახლების ალს
მტრები კივილით დაუფრენია ..

და მე დღეს ოქროს მზის ციალებით
ვსტკბები... უმღერი რევოლუციას..
ვამაყობთ იმ დიდ ფერის კვალებით—
საქართველოსთვის, რომ მოუციათ.

პ. სამსონიძე

ქრონიკა

◎ ა/წ. 29 დეკემბერს მოხთა საქ. წითელი ჯარის პოლიტ-სამმართველოსთან არსებულ-სამხედრო პარტიულ სკოლის კურსანტების მეორეთ გამოშობა.

◎ 5 იანვრისათვის დანიშნულია საქართველოს წითელი ჯარში არსებულ ყველა კულტურულ-განმანათლებელ სექციათა წარმომადგენელთა საერთო კრება, ჯარში კულტურ მუშაობის გეგმების შესაკეთებლათ.

◎ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარების შემდეგ, თანახმად რესპუბლიკათა შეთანხმების დადგენილებისა დარჩება ქართული ჯარის ერთი ბრიგადა რომლის უფროსად დანიშნულია ამხ. პ. ალნიაშვილი. ამასთან ერთად რესპუბლიკის პოლიტსამმართველოს მაგიერ იქნება ბრიგადის პოლიტგანყოფილება

◎ საქართველოს წითელ არმიელთა უპარტიო კონფერენციის დასრულების შემდეგ ქართველი ჯარის სახით გაგზავნილ იქნა წარმომადგენელად მოსკოვში IX საბჭოების ყრილობაზე საქ. ჯარის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. ნიკოლოზ კუჯავა. მისი მოვალეობის დროებითი აღსრულება დაეკისრა ამხ. კვირიკაძეს.

თფ. მაზ. სამხედრო კომისარიატში.

ორშაბათს 28 ნოემბერს ტრამვაის კლუბში შესდგა თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის, პირველი საარმიო დივიზიონის წითელ-არმიელთა და თანამშრომელთა კრება 3 საათზე.

დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები: I/ მიმდინარე მომენტი, 2/ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, 3/ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია, 4/ პოლიტიკური მუშაობა ჯარში, 5/დამშეულთა დახმარება და6/ არჩევნები პირველ უპარტიო კონფერენციისათვის. პირველ დღეს კრება ირჩევს კრების პრეზიდიუმს რის შემდეგ ამხ. კობიძე აცნობებს კრებას მნიშვნელობას და მოუწოდებს ყველა ამხანაგებს სერიოზულათ შეუდგენ მუშაობას.

29 ნოემბერს დილით იხსნება კრება 9 საათზედ. პირველათ ამხ. ბობოხიძე აკეთებს მოხსენებას მიმდინარე მომენტზედ და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაზედ. მომხსენებელი მკაფიოთ და გარკვევით უხატავს კრებას მიმდინარე მომენტის, ფედერაციის დიდ მნიშვნელობას. მოხსენების შემდეგ იმართება შეკითხვები. შემდეგ მოითხოვს სიტყვას ამხ. თევდორაძე, რომელიც არ უერთდება მომხსენებლის აზრს ფედერაციის შესახებ ნახულობს-რომ აღნიშნული ფედერაცია დაახშობს ეროვნულ კულტურასო. მას, უპასუხებს ამხ. კობიძე, რომელიც გამოსთქვამს აზრს, რომ მუშათა კლასმა კარგად შეიგნო თავისი მტერ-მოყვარე. ის კარგად გრძნობს რანაირ ნიღაბებით ევლინებიან მათ დამარცხებული ხალხის მტრები, რომლებიც მუშათა კლასის დაქსაქსვით ლამობენ მომავალში გამარჯვებას. რათქმა უნდა ფედერაციის და მჭიდრო კავშირს ამიერ-კავკასიის ერთ ჯარის ისინი ვერ შეურიგდებიან, ვინაიდგან ამაში ხედავენ თავისი გავლენის სამუდამოთ დამარცხებას. ამხ. ბობოხიძე საბოლოო სიტყვის შემდეგ კრება იღებს შემდეგ რეზოლიუციას ერთხმად წინააღმდეგ ორი პირისა. მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ბობოხიძისა ჩვენ მშრომელი ხალხი წითელ-არმიელები სრულებით ვიზიარებთ გადადგმულს ასეთ ნაბიჯს შეერთებისაკენ, რომელიც ამ სამ პატარა ძმურ რესპუბლიკების ხალხს აღადგენს და განამტკიცებს, როგორც ეკონომიურათ ისე პოლიტიკურათ, ჩვენ ფიცსა ვსდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიდგეთ დამცველათ ჩვენი მუშურ-გლეხურ მთავრობის და ხელი შეუწყოთ ასეთ სწორ ნაბიჯის ღირსეულათ დაგვირგვინებას.

გაუმარჯოს ამიერ კავკასის რესპუბლიკების ფედერაციას, გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!„

შემდეგ აკეთებს მოხსენებას ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ამხ. კობიძე (ციმბირელი) რომელიც განმარტავს წარსულ ეკონომიურ პოლიტიკას და ხსნის თუ რა ცვლილებანი მოხდა და რა ხასიათი აქვს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და და რას უნდა ვაკეთებდეთ ამ სფეროში, რის შემდეგ გამოაქვთ შესაფერი რეზოლიუცია.

29 ნოემბერს კრება იხსნება დილით 10 საათზე.

ამხ. ბობოხიძე აკეთებს მოხსენებას კულტურულ მუშაობაზედ ჯარში. მოხსენება შინაარსიანი იყო. ამხ. შევგენეიშვილი აკეთებს მოხსენებას დამშეულთა შესახებ. შემდეგ მოხდა არჩევნები საქართველოს წითელ ლაშქრის პირველ კონფერენციის დელეგატებისა. იყო წარმოდგენილი შვიდი კანდიდატი 2 კომუნისტი და ხუთი უპარტიო; გავიდა პირველი ორი: გრიგორიანცი და კობიძე.

კრება დაიხურა დიდი ტაშის ცემით.

გოგიტო ციმბირელი

საქ. წით.-არმ. უპარტიო კონფ. რეზოლიუციები.

საქართველოს წითელი არმიის პირველი უპარტიო კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. კვირიკაძის არმიაში პოლიტიკური განათლების მუშაობის ფორმების, მეთოდების და შინაარსის შესახებ ადასტურებს შემდეგს:

1) წითელი არმია არის მშრომელთა შეიარაღებული კავშირი პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მშრომელთა უაღრესი იდეალის-კომუნიზმის გასამეფებლად.

2) რათა წითელი არმია წარმოადგენდეს საუკეთესო ნაწილს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ამხედრებულს, ეს მოითხოვს პოლიტიკური მუშაობის მაქსიმალურად გადიდებას.

3) პირველად ყოვლისა პოლიტიკურ-განათლების მუშაობამ წითელი არმია უნდა აქციოს კომუნიზმის უდიდეს შვილად, პოლიტიკურად აუღზრდელი და გაუწვრთნელი არმია, უმთავრესად გლეხური (ზოგიერთ შემთხვევაში მუშური), უნდა გარდაიქმნეს კომუნიზმის შეგნებულ მებრძოლად.

4) ამ დიდი საქმის წარმოება არმიაში უნდა შეუწყვეტლივ დუღდეს კომისრებს, კომიაჩეიკებს, პოლიტ-განმანათლებელ კომისიებს, მუშაობით რომელიც უნდა წარმოებდეს თვით ომის დროსაც კი.

5) პოლიტ-განათლების მუშაობა უნდა სწარმოებდეს არა მარტო კომიაჩეიკაში არამედ, უმთავრესად, წითელ არმიელთა ფართო მასსაში სხვა სხვა კონფერენციების სახით, კომიაჩეიკის დაუხურავი სხდომები, კრებები, კლუბში, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიების, სხვადასხვა ჯგუფები და კომისიები პოლიტიკისა და ლიტერატურის სფეროდან.

6) პოლიტიკური განათლების საქმე უნდა სწარმოებდეს აგრეთვე არმიის გარეშე, რამდენათ ეს შესაძლებელია, გარშემო მდებარე მცხოვრებთა შორის, უმთავრესად სოფლად, სადაც დაბანაკებული იქნება ხოლმე არმიის ნაწილები, რაიც დიდს სარგებლობას მოუტანს კულტურულად ჩამორჩენილ გლეხ კაცობას.

7) პოლიტ-განათლების მუშაობას არმიაში უნდა ჰქონდეს შემდეგი ფორმები: კომიაჩეიკის ღია კრებები, საუბრები, მიტინგი, ლექციები, მანიფესტაციები, განათლების საღამოები, ცოცხალი გაზეთი, პოლიტიკური და სალიტერატურო გასამართლებები, ბავშთა დღესასწაულები, კვირაობა, გაზეთების ხმამაღლა კითხვა, შკოლები და კურსები, თეატრი და კინო.

8) ზემო ნაჩვენები პოლიტ-განათლების მუშაობის ფორმებით არმიაში სწარმოებს კომიაჩეიკებისა და კლუბის გარშემო რითაც იქნება მჭიდრო კავშირი პარტიულსა და საერთო განათლების საქმეში.

10) ამ რიგათ წითელი არმია უნდა იქცეს უდიდეს ღირსებათ სახელმწიფოებრივ აღმაშენებლობის საქმეში და კულტურის სფეროში.

10) პოლიტ-განათლების მუშაობის საქმეში უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას, ამ შავს ლაქას ჩვენი ცხოვრებისას წ. კ. უცოდინარი უნდა განთავისუფლებულ იქნეს ყოველგვარ სამუშაოდან მანამ სანამ წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია სრულიად არ დაკანონდება საბოლოოთ წ. კ. ლიკვიდაციას არმიის ნაწილებში ძალდატანებითი ხასიათი უნდა ჰქონდეს.

11) წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის შემდეგ პ.-განათლების მუშაკთა წინაშე სდგას საკითხი რათა წითელ არმიელებს მისცენ სათანადო ცოდნა (მინიმალური) მატემატიკაში, ბუნების მეტყველებაში, ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში გეოგრაფიაში და სხვა...

12) არმიაში აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა პროფესიონალურ და ტეხნიკურ კურსების მოწყობას, სადაც აუცილებლად დიდი ადგილი ექნება პოლიტიკურ განათლებას ვინაიდან ჩვენი არმია უმთავრესად გლეხკაცობისაგან შესდგა, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო მეურნეობიდან კურსების გახსნას.

13) მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს არმიაში ცრუმორწმუნეობას სარწმუნოებას და ნაციონალიზმთან ბრძოლას ამ მხრით საჭიროა სისტემატიური მუშაობა, რათა წითელ-არმიელის ფსიხიკა გადამუშავებულ იქნეს რელიგია და ნაციონალიზმი დიდი შხამია მშრომელი ხალხისთვის და ამიტომ მის აღმოკვეთას პოლიტ-განათლების მუშაკებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ხოლმე.

14) უნდა აგრეთვე დიდი ყურადღება მიექცეს უფროსთა შემადგენლობის პოლიტიკურად აღზრდას. უფროსთა შემადგენლობა საქ. წ. არმიისა რეაქციონური და კონტრ-რევოლიუციონურია იგი მხოლოდ ნაციონალისტურად არის განწყობილი და ამ მხრით საჭიროა დიდი მუშაობის წარმოება, რათა ეს ყალბი წარმოდგენა ეროვნებაზე აღმოკვეთილი იქნეს მათში.

15) მას შემდეგ რა კი დღეს ბატონ პატრონი სახელმწიფოსი არის მშრომელი კლასი მან სულ ერთიანად უნდა გარდაქმნას ძველი ბურჟუაზიული კულტურა და მის ნანგრევებზე აღაგოს პროლეტარული კოლექტიური კულტურა. დღევანდლამდი ბურჟუაზია ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, საკუთარის ტეხნიკისა და კულტურის საშვალებით რათა მილიონი მშრომელი ხალხისა მის ყურ-მოჭრილ მონად ექცია

დღეს კი პროლეტარიატმა, აგრეთვე წითელმა არმიამ, ბურჟუაზიის გამოცდილება, ტეხნიკა და კულტურა სათანადოთ უნდა გამოიყენოს და აღაგოს ახალი კულტურა ახალი ცხოვრება — სადაც ადგილი აღარ ექნება არავითარ მონობას, როგორც ეკონომიურს აგრეთვე სულიერს.

პოლიტ-განათლების მუშაობამ წითელ არმიაში ამ უდიდეს კოლექტივში სასწაული უნდა მოახდინოს, მან აუცილებლად უნდა მიაღწიოს თავის უაღრეს მიზანს. წითელი არმია პოლიტაღზრდილი და გაწვრთნილი აუცილებლად უნდა გახდეს მშრომელთა მასის ავანგარდათ, მან აუცილებლად უნდა დააჩქაროს შობა ახალი საზოგადოებისა, ახალი ადამიანისა, ახალი კოლექტივისა, ახალი ფსიხიკისა.

— —

საქართველოს წითელი ლაშქრის უპარტიო კონფერენციამ მოისმინა ამხ. კახანდაძის და ნ. ოკუჯავას მოხსენებები, სადაც მკაფიოთ გარკვეული იყო მსოფლიო პოლიტიკურ ეკონომიური მდგომარეობა (განსაკუთრებით რუსეთ-ევროპის დამოკიდებულება) და ის ზომები, რომლებიც მიღებულ იყო საბჭოთა რუსეთის მიერ ხანგრძლივ სამოქალაქო ომით გამოწვეულ ეკონომიურ სიბეჩავის წინააღმდეგ.

საქართველოს წითელ ლაშქრელთა პირველი უპარტიო კონფერენცია განსაკუთრებულის სიხარულით ეგებება საბჭოთა არსებულ პოლიტიკურ კურსს. იწონებს საბჭოთა მთავრობის ყველა მოქმედებებს და ფიცსა სდებს რომ, იქნება საბჭოთა, ძალაუფლების, ერთგულ დარაჯად, რომელსაც მოაქვს მშრომელ ხალხის საბოლოო და ჭეშმარიტი გამარჯვება.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს მესამე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს ძლევამოსილ რუსეთის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ძალაუფლებას!

გაუმარჯოს რუსეთის წითელ არმიას და მის ნორჩ ამხანაგს საქართველოს წითელ ლაშქარს!

გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკებს!

— —

მოვისმინეთ რა ამხ. მაისურაძის მოხსენება ვოლგის მხარის დამშეულთა შესახებ, საქართველოს წითელ ლაშქრის პირველ უპარტიო კონფერენციის დელეგატები როგორც გამომხატველნი საქართველოს წითელ ლაშქრის სურვილებისა, გამოვთქვამთ ჩვენს მხურვალე თანაგრძნობას ეკონომიურად განსაცდელში მყოფ ჩვენი ძმებისადმი.

რუსეთის გლეხების კეთილდღეობა ჩვენი გლეხების კეთილდღეობის თავმდებია და ამიტომ ვეცდებით შესაფერი წვლილი შევიტანოთ ვოლგის დამშეულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

— —

მოისმინა რა ამხ. ელიავას მოხსენება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის და საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ საქართველოს წითელი ლაშქრის პირველი უპარტიო კონფერენცია მიესალმება ახალ კურსს ეკონომიურ პოლიტიკისას, რომელიც შესძლებს რესპუბლიკის ეკონომიურად აღორძინებას. მიზან შეწონილად და გონივრულ პოლიტიკურ ნაბიჯით ვღიარებთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების: საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ფედერატიულად გაერთიანებას. საქართველოს კომპარტიის და მუშურ-გლეხურ მთავრობას ვპირდებით ამ ნიადაგზე დახმარებას და ხელის შეწყობას, პროლეტარიატის დიქტატურის განსამტკიცებლად.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკის ფედერაციას!

გაუმარჯოს მესამე კომ. ინტერნაციონალს, ამ მსოფლიო რევოლიუციის შტაბს!

გაუმარჯოს მსოფლიო-რევოლიუციის ბელადებს ლენინს, ტროცკის, ცხაკაის!

ჩვენს წითელ ჯარში

პარტ-სკოლის ცხოვრებიდან.

საქართველოს წითელი ლაშქრის პოლიტ-სამართველო ადრევე შეუდგა მუშურ-გლეხურ ჯარის პოლიტიკურად აღზრდას და წითელი არმიელებიდანვე პოლიტიკურ კადრის მომზადებას.

1 ოქტომბრიდან დაიწყო კურსანტებმა წითელ-არმიელთა ნაწილებიდან კრება, სულ არ გასულა დიდი ხანი რაც სკოლაში მოიყარეს თავი 33 კურსანტმა. მაგრამ სამხედრო სკოლის ადმინისტრაციის უნარის უქონლობას გამო დიდხანს ვერ იქმნა სწავლის საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებული.

ჯერ ერთი სკოლის უფროსი კვირაში ორჯერ თუ გამოცხადდებოდა სკოლაში და თუ შევიდა ისიც როგორც სტუმარი.

ჩვენი სამეურნეო ნაწილის გამგეზე კი არის ნათქვამი, „მე აღარა ვარ ის რაც ვიყავ გამოვიცვალე ტყავიო“, თუმცა ანაფორა გაეხადა მაგრამ გული ისევე ძველი მღვდლის დარჩენოდა და აქედან ცხადზე უცხადესია თუ როგორ დაინტერესებდა მას კურსანტების მდგომარეობის გაუმჯობესება.

მაგრამ მიუხედავად იმისა კურსანტები არ დაეცენ სულიერად და ენერგიულა შეუდგნენ მეცადინეობას მით უმეტეს მას შემდეგ, როდესაც რუსეთიდან მოგვევლინა მუდმივი ლექტორ-ხელმძღვანელი ამხ. კალენიკე გიორგაძე, რომლის ხელმძღვანელობით მეორე დღესვე იქნა დაარსებული კომუჯრედი და იქნა აღდგენილი რევოლიუციონური დისციპლინა და ენერგიულად შეუდგა სკოლის ორგანიზაციულად მოწყობას.

ასე ამ ნაირად გაჩაღდა, როგორც პარტიული ისე კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა.

ჩვენი წრიდან გამოსულმა წითელ არმიელმა ადვილად შესძლო კურსანტებთან საერთო ენის გამონახვა რომელსაც დიდის აღტაცებითა და აღფრთოვანებით მიეგება კურსანტობა.

ამხ. გიორგაძე არამც თუ განსაზღვრულ დროს კითხულობს ლექციებს, არამედ თავისუფალ დროსაც კი გარშემორტყმულია კურსანტები რომლებიც აძლევენ სხვა და სხვა კითხვებს და ღებულობენ შესაფერ პასუხს და უყურებენ ისე, როგორც ერთ-ერთ ერთგულ და ენერგიულ თავდადებულ წინამძღოლს მუშაკს.

ამხ. გიორგაძეც მზათაა მთელ დრო მის მიელად თავისი შრომა კურსანტების კომუნისტურად აღზრდას.

მიუხედავათ ზემოხსენებულ დაბრკოლებებისა კურსანტები მაინც შესძლებენ ახლო მომავალში მიიღონ შესაფერისი ცოდნა და წითელ არმიიდან გამოსულები და მცოდნე მათი ფსიხოლოგიის ადვილად შესძლებენ გამონახონ საერთო ენა წითელ არმიელებში. ისე როგორც ამხ. გიორგაძე და გაამართლებენ იმ იმედებს, რომელსაც ამყარებს მასზე წითელი ლაშქრის პოლიტ-სამმართველო.

მზვერავი.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა №-ის ცალკე სანაპირო ათასეულში.

23 ოქტომბერს მოხდა გაერთიანებული კრება წითელ-არმიელთა და თანამშრომელთა, რომელზედაც სამხედრო კომისარმა ამხ. არაქელოვმა, დაასურათა რა მნიშვნელობა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისა ჯარში და ისიც, თუ როგორ მდგომარეობაშია ამ მხრივ ათასეული. მოუწოდა კრებას თანაგრძნობით შეხვდეს ამ საქმეს.

კრებამ აირჩია კულტურულ-განმანათლებელი კომისია: ამხ. სეფერთელაძის, ბუროძის, რუმიანცევას, ჩხეიძის და ჩიქვანიძისაგან და მისცა მათ სათანადო ინსტრუქცია. კომისია გულ-მოდგინეთ შეუდგა მოქმედებას, გამოჰყო რა სამი მომწყობი ჯგუფი: სკოლის, სამკითხველოსი, ხელოვნებისა და ნაყოფიც მალე გვაჩვენეს: მოეწყო სამკითხველო, გაზეთების მიღების საქმე გაუმჯობესდა, მეცადინეობა წითელ-არმიელებთან ყოველ დღიურად სწარმოებს, იკითხება ლექციები. გაჩნდა მომღერალთა გუნდი და სხვა. საზოგადოთ, არჩეულნი გრძნობდენ თავის მოვალეობის სიმძიმეს და არ ზოგავენ შრომას. ვუსურვებ მათ წინსვლას ამ სასარგებლო საქმეში.

სამხკომი ჩაჩუა.

— —

საქართველოს ლაშქრის პოლიტიკურ განყოფილებას.

რევოლიუციონური სამხედრო საბჭო კავკასიის განსაკუთრებულ არმიისა ესალმება საქართველოს არმიის პირველ უპარტიო კონფერენციას.

დეე! იყოს ეს კონფერენცია განმამტკიცებელი ახალგაზრდა არმიის ძლიერების.

ჩვენ ძმურ და მეგობრულ შეერთებას ვერ შეარყევს ცდა რეაქციისა, რომ განამტკიცოს კავკასიაში ესპლოატატორთა ძალაუფლება

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკის ძმურ კავშირს!

კავკასიის განსაკუთრ. არმიის
მთავარი სარდალი **გეკერი**
რევოლ. სამხ. საბჭოს
მდივანი **კრაკოვსკი.**

— —

ძმური დახმარება ვოლგელ ამხანაგებს.

ა. წ. 14 დეკემბერს ს. ს. ს. რ. სამხედრო და საზღვაო კომისარიატის შტაბის თანამშრომელთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება სამხედრო კომისარ ს ამხ. ლარიონოვის ვოლგელ დამშეულთათვის დახმარების შესახებ და ერთხმად დაადგინა გადაიდვას დამშეულთა სასარგებლოთ ყოველმა თანამშრომელმა წითელ არმიაში სამსახურისათვის დაწესებულ საჩუქრის 10 პროცენტი.

— —

მოვისმინეთ რა ჩვენ წითელ ლაშქრელებმა და მეუფროსეთა შემადგენლობამ ჯავშნიან დივიზიონის ამხანაგ ხუნდაძის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობის აღდგენა, აგრეთვე ეკონომიური და პოლიტიკური ფრონტის გამაგრება მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელია გაერთიანებული ძალით. ამიტომ ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით კავბიუროს გადაწყვეტილებას და ფიცსა ვსდებთ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ ერთგული დამცველი ვიქნებით ამ იდეის და მის ცხოვრებაში გატარებას ყოველ ჩვენ ძალ ღონეს შევსწირავთ.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერატიულად შეკავშირებას!

გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!

— —

საერთო კრებამ, ავტო-სახელოსნოსი, არმიის მომარაგების და კომენდანტ ს სამმართველოს მოსამსახურე წითელ-არმიელთა მოისმინა რა მოხსენება ამხ. მიგინეიშვილისა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ, იწონებს ხელისუფალთა მიერ გადადგმულ ნაბიჯებს აღუთქვამს მას ყოველგვარ დახმარებას, შესაძლებლობის ფარგლებში და უსურვებს გამარჯვებას მსოფლიო პროლეტარიატის საკეთილდღეოთ.

— —

ა. წ. 25 ნოემბერს მოხდა სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბის, საქ. ჯარის პოლიტ-სამმართველოს და მომარაგების სამმართველოს კომიაჩეიკის მორიგი კრება, სადაც მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„რესპუბლიკის პოლიტსამმართველოს სამხედრო-საზღვაო კომისარიატის შტაბის და მომარაგების სამმართველოს შეერთებულმა კომიაჩეიკამ მოისმინა რა, პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. ოკუჯავას მოხსენება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ, მიიღო ეს გადაწყვეტილება უმაღლეს პარტიულ ორგანოებიდან სრულიად სწორად და დროს შესაფერისად, რომელიც ნაკარნახევია აღნიშნულ რესპუბლიკათა მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ მომენტიდან, ფიცსა ვსდებთ მთელი ჩვენი ძალი და ღონე მოვახმაროთ სწრაფად და შეურყევლად მისი ცხოვრებაში გატარებას.“

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციას, რომელიც თავდებია ძმურ სოლიდარობისა და ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასის გაერთიანებისა, საერთო ძალ-ღონით, როგორც ეკონომიურ ფრონტზე აგრეთვე გარეშე კაპიტალისტურ ქვეყანასთან საბრძოლველად“.

ჩვენი ფოსტა

ამხ. სამხკორებს. კორესპონდენციები უნდა იწერებოდეს საქმიანი. ამა თუ იმ მოვლენის მოწონება თუ არ მოწონება წითელ არმიელებს სარგებლობას არ მოუტანს. საჭიროა აღინიშნოს თუ რა გაკეთდა ჯარში. მაგალითად: რა გაკეთდა კულტურულ დარგში, სამხედრო ხელოვნების შესწავლის საქმეში, დისციპლინის შექმნაში, საზოგადო ქონების მოფრთხილების შეგნების შემუშავებაში და სხვა.

უცნობ სამკომს. ჩვენი რედაქცია ღებულობს და ბეჭდავს მხოლოთ ქართულ ნაწარმოებებს, სომხური წერილები და ლექსები გაუგზავნეთ სომხურ გაზეთს.

რედაქტორი ს. დარახველიძე

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან.